ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3296104

ნომერი: AR1482242

თარიღი : 27.02.2017

გაცემის თარიღი : 01.06.2017

გაცნობის თარიღი : 01.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. #11 / ქ. თბილისი, თინა იოსებიძის ქ. 9ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ცხადაძე პ/ნ 18001054640
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. კ.4, ბ. 126

ნომენკლატურა :

- აშენებული
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
- დასრულება შემდგომი ლეგალიზებით
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 27 თებერვლის #AR1482242 განცხადებით მომართა ამირან ცხადაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში იოსებიძის ქუჩა #11 / ქ. თბილისი, თინა იოსებიძის ქ. 9ბ-ში (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.10.13.027.055 მიწის ნაკვეთზე,) უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრა, „პროექტის

შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული ლეგალიზების წესის შესაბამისად.

სამსახური განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის 21 პუნქტის თანახმად „ამ წესის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე მრავალბინიან სახლებზე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებული და დაუმთავრებელი იმ მიშენება–დაშენებების მიმართ, რომელთა დასრულება არ გულისხმობს მიშენების გაზრდას ან/და სართულის (სართულების) დამატებას“. ამ წესის პირველი მუხლის 21 და 22 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული პროექტი, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს ობიექტის მშენებლობის დასრულება და ამ ბრძანებულებით დადგენილი წესით სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 30 დღეში შესაბამისი ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას (არა უმეტეს 1 წლისა) დაუსრულებელი ობიექტის წარმოდგენილ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რის შესახებაც გამოსცემს ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს. ხოლო მე–7 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ვალდებულია შეასრულოს ამ წესის მე–4 მუხლის მე–2 პუნქტით ან/და მე–5 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, გადაწყვეტილება ლეგალიზების ან ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად შესაბამისი ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლიდან 30 დღეში, ანუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, რომლითაც მოხდება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით დაწყებული მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრა, განმცხადებელი ვალდებულია მშენებლობა დაასრულოს სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში და ობიექტის ლეგალიზებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით მომართოს სამსახურს მშენებლობის დასრულებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად მშენებლობის ფართს დასრულების შემდგომ წარმოადგენს 494.16 – კვ.მ–ს. სამსახური აქვე განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესით, უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით დაწყებული მშენებლობის დასრულებისათვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 1 (ერთი) წელი და შესაბამისად, აღნიშნული 1 (ერთი) წლიანი ვადა გაგრძელებას არ ექვემდებარება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული ლეგალიზების წესის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქის ამირან ცხადაძის განცხადება;
2. ნება დაერთოს, დაასრულოს ქ. თბილისში, იოსებიძის ქუჩა #11 / ქ. თბილისი, თინა იოსებიძის ქ. 9ბ-ში (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.10.13.027.055 მიწის ნაკვეთზე,) უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება, რისთვისაც განესაზღვროს 12 თვის ვადა;
3. ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ, მოგვმართოს ობიექტის მესაკუთრემ ან/და მისმა მინდობილმა პირმა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს ობიექტის ლეგალიზებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;
4.ობიექტის მშენებლობა დასრულებულ იქნას სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო მშენებლობის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, უფლებამოსილმა პირმა განცხადებით უნდა მომართოს სამსახურს ობიექტის ლეგალიზებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ

ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.